განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

წლიური ანგარიში
2014

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2014 წლის ანგარიში

თბილისი
2014

დოკუმენტი მოამზადა ქეთი ცოტნიაშვილმა
დიზაინი და დაკაბადონება მაკა ბერაიასი

© განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ყველა უფლება დაცულია. ინფორმაციის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისთვის, წყაროს მითითებით.

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1
ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220
ელ-ფოსტა: info@eqe.ge
ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: www.eqe.ge

ISBN: 978-9941-0-7393-9

სარჩევი

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები 5

დირექტორის მიმართვა 6

ნაწილი I. 2014 წლის ანგარიში 8

საქმიანობის სფერო 8

1. ორგანიზაციული განვითარება 9

1.1 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების ცვლილება 9

1.2 ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა 9

1.3 განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის პროექტი 10

1.4 ცენტრის ახალი ინიციატივა: საუბრები განათლების შესახებ 10

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები 11

2.1 აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოები 11

2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია 11

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია 12

2.4 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება..... 13

2.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განვითარება 14

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო 15

3.1 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება 15

3.2 2014 წელს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესული ცვლილებები..... 15

4. სტუდენტთა მობილობა 16

5. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება 16

5.1 განათლების აღიარება 16

5.2 განათლების ნამდვილობის დადასტურება, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება..... 17

6. პროფესიული განათლების განვითარება 18

6.1 პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა..... 18

6.2 ტორინოს პროცესი 2014 19

6.3 Worldskills Georgia 19

7. ინტერნაციონალიზაცია 19

7.1 ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი (BFUG) 19

7.2 განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი (Mahatma) 20

7.3 სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზაცია სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (MathGeAr) 20
7.4 ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და საჭიროების აუცილებლობის აღიარება სომხეთსა და საქართველოში (QA_TNE) 21
8. ფინანსური ანგარიში 21

ნაწილი II. ტენდენციები განთლებაში 22
1. საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება 22
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი და ავტორიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები 22
3. საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსი და აკრედიტაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები 24
4. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო 27
5. სტუდენტთა მოგილოგა 28
6. სტუდენტების კონტინგენტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 28
2015 წლის აქცენტები 30
დანართები 31

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსფ	უცხოური საწარმოს ფილიალი
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია
ცენტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
BA	საბაკალავრო პროგრამა
BFUG	ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი
CEDEFOP	პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი
EMIS	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
ESG	ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები
ETF	ევროპის საგანმანათლებლო ფონდი
MA	სამაგისტრო პროგრამა
ME	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
Phd	სადოქტორო პროგრამა
SKVC	ლიტვის უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების ცენტრი
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წლიურ ანგარიშს, რომლითაც გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი 2014 წლის მუშაობის შედეგები. წლიურ ანგარიშს, უკვე ტრადიციულად, თან ერთვის ანალიტიკური ნაწილი, რომელშიც შედარებით პერსპექტივაში განვიხილავთ ისეთი მონაცემების დინამიკას, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური პროგრამებისა და სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა და შემადგენლობა.

ცენტრის გრძელვადიან სტრატეგიაზე დაყრდნობით, 2014 წელი დავუთმეთ ჩვენი ძირითადი საქმიანობების შინაარსობრივ დახვეწას. ვიმუშავეთ სამი ძირითადი მიმართულებით. პირველი შეეხო განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნას. 2014 წლის პრიორიტეტად მივიჩნიეთ უმაღლესი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაუმჯობესება. უმაღლესი განათლების მიმართულებით დავიწყეთ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოქნილი პროცედურებისა და შედეგის შეფასებაზე ორიენტირებული სტანდარტების შექმნა. ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტებში ჩაერთონ საერთაშორისო შემფასებლები. ზოგადი განათლების მიმართულებით შევიმუშავეთ სკოლის განვითარების კონცეფცია, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა განხილულია როგორც სკოლისთვის დამხმარე ინსტრუმენტი. ამასთან, სკოლის ბარათის სახით განვავითარეთ ანგარიშვალდებულების ელექტრონული სისტემის იდეა, რომელიც გაზრდის სკოლის პასუხისმგებლობის ხარისხს სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ.

ცენტრის კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწა. ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპულ ჩარჩოსთან შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე, მოვამზადეთ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და ცვლილებათა დანერგვის სამოქმედო გეგმა, რათა ეროვნული კვალიფიკაციების სისტემა ევროპულს დაუახლოვდეს.

მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მომავალი წლიდან საგრძნობლად გააუმჯობესებს ცენტრის მუშაობას, არის განათლების ხარისხის ელექტრონული მართვის პლატფორმა. შექმნილი ელექტრონული სისტემა გაზრდის უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მონაცემების სანდოობის ხარისხს. ამ ამბიციური პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აქტიური მონაწილეობით.

წარმატებით გაგრძელდა „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის

პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც განახლდა პროფესიული სტანდარტები და შემუშავდა სტანდარტების შესაბამისი მოდულური პროგრამები. პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება.

2014 წელს ცენტრმა დაასრულა რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებას. ასევე წინ წამოიწია ინტერნაციონალიზაციისა და კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების კომპონენტებმა.

2015 წელს გავაგრძელებთ ცენტრის სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით მუშაობას. უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყება განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პილოტირება, ჩამოყალიბდება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი, ეტაპობრივად დაინერგება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები. სრული დატვირთვით ამუშავდება განათლების ხარისხის ელექტრონული მართვის სისტემა.

ცენტრის მიერ წამოწყებული ამბიციური გეგმები ვერ განხორციელდებოდა თანამშრომელთა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულების გარეშე, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. ასევე მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც ცენტრის მუდმივ გულშემატკივრებად რჩებიან.

იმედს ვიტოვებ, რომ 2014 წლის ანგარიშში ასახული ინფორმაცია მკითხველისთვის საგულისხმო და ღირებული იქნება.

დიდი მადლობა!

ელენე ჯიბლაძე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნაწილი I.
2014 წლის ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ). ცენტრი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ - აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

ხედვა

ცენტრის მომავლის ხედვაა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

მისია

ცენტრის მისიაა სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის კონცეფციის მუდმივი განახლება; სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა. ამგვარად, ცენტრი ხელს უწყობს უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნას.

საქმიანობის სფერო

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. ცენტრი მუშაობს, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებასა და დანერგვაზე და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე. ცენტრი აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას. ცენტრი ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის — დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

1. ორგანიზაციული განვითარება

2014 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ორიენტირებული იყო თავისი საქმიანობის შინაარსობრივ განვითარებასა და დახვეწაზე. ცენტრი ძირითადად შემდეგი ოთხი მიმართულებით მუშაობდა:

1. ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესება;
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმების დახვეწა;
3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება;
4. პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

1.1 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების ცვლილება

2014 წლის განმავლობაში გადაიხედა ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა, სამსახურების ფუნქციები და საქმიანობის პრიორიტეტები. ამის გათვალისწინებით, მომზადდა ცენტრის დებულების ცვლილებების პროექტი და 2014 წლის 30 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №169 ბრძანებით ცვლილებები შევიდა ცენტრის დებულებაში[1]. ცვლილებებით დაზუსტდა ცენტრის მიზნები და ფუნქციები, შეიცვალა ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება (იხ. დანართი 1). დებულების ცვლილებით გაძლიერდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია, წინ წამოიწია ინტერნაციონალიზაციისა და კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების კომპონენტებმა, რომლებიც თანხვედრაშია ცენტრის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. მინისტრის ბრძანება 2015 წლის 5 იანვრიდან ამოქმედდა.

1.2 ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

2014 წელს ცენტრის დაკვეთით კვლევითმა ორგანიზაციამ „გამოყენებითი კვლევების კომპანიამ“ ჩაატარა „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა“[2].

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ცენტრის მიმართ მომხმარებლის დამოკიდებულების და განწყობის შესწავლა;
- მომხმარებლისათვის გაწეული სერვისების ხარისხის დონის შეფასება;
- ცენტრის მომსახურების ხარისხის შესწავლა გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფების მიხედვით, ხარვეზების იდენტიფიცირება;
- მომსახურებაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მომსახურების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება;
- ახალი სერვისების გამოვლენა, რომელთა საჭიროებასაც ხედავენ მომხმარებლები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირებმა. კვლევამ მოიცვა ცენტრის მიერ გაწეული ყველა სახის მომსახურება. კონკრეტულად, იურიდიული პირები, რომელთაც საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ, გამოიკითხნენ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრის მომსახურებებთან დაკავშირებით. ხოლო, ფიზიკური პირები გამოიკითხნენ მიღებული განათლების აღიარების, აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის, სტუდენტთა მობილობის და ნამდვილობის დადასტურების მომსახურებებთან დაკავშირებით:

[1] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №89/ნ
[2] „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა“, ARC, 27 ოქტომბერი, 2014

ფიზიკური პირების მომსახურების ძირითად პრობლემად მომსახურების პროცედურების ხანგრძლივობა და მომსახურების გარემო დასახელდა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით, ყველაზე პრობლემატურ საკითხად საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ექსპერტთა შეფასებების და შედგენილი დასკვნების თანამიმდევრულობა, ასევე სტანდარტების ბუნდოვანი ხასიათი დაასახელეს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პრობლემატურია საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრის მოხმარება როგორც ტექნიკური, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით, რაც საჭიროებს გამართვას და მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისის შექმნას და საჭირო ფუნქციების დამატებას.

ცენტრი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა კვლევის შედეგად გამოვლენილ საკითხებზე. კერძოდ, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის დახვეწის მიზნით დაიწყო სტანდარტების და პროცედურების გადახედვა. იქმნება ხარისხის მართვის ელექტრონული ინფრასტრუქტურა, რაც გამოასწორებს რეესტრის მუშაობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ფუნქციურ პრობლემებს, აღნიშნული ტექნოლოგიის საშუალებით ასევე მოხდება მომსახურების პროცესის გაუმჯობესება. მოქალაქეებისთვის შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროცესების ოპტიმიზაცია და გარემოს მოწესრიგება.

კვლევამ გამოავლინა ცენტრის მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დამატებითი მომსახურებების გაწევის საჭიროება, კონკრეტულად:

- საინფორმაციო უზრუნველყოფა (მაგ., დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდება განათლების სფეროში კანონმდებლობის ცვლილებებთან, საერთაშორისო გამოცდილებასთან და სიახლეებთან დაკავშირებით);
- ტრენინგ მომსახურება (მაგ., ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, რეესტრის წარმოების შესახებ);
- საკონსულტაციო მომსახურება (პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით).

1.3 განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის პროექტი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს „განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის პროექტს". პროექტის მიზანია ცენტრისთვის ხარისხის მართვის სისტემის ელექტრონული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ცენტრის ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციას. ელექტრონული ინფრასტრუქტურა შეიცავს ვირტუალურ სივრცეს როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე სტუდენტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. სისტემა გაამარტივებს და გაზრდის მომსახურების ხარისხს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ასევე მოქალაქეებისთვის, მონაცემები იქნება სრულყოფილი და სანდო. სისტემა ასევე გაამარტივებს ცენტრის შიდა პროცედურების გამართულ მუშაობას.

პროექტის პირველი ეტაპი 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულდა, ხოლო მეორე ეტაპის განხორციელება 2015 წლის 31 მაისამდეა დაგეგმილი.

1.4 ცენტრის ახალი ინიციატივა: საუბრები განათლების შესახებ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო სემინარების ციკლი „საუბრები განათლების შესახებ". სემინარების მიზანია შეიქმნას პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იქნება განათლების საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობა, საგანმანათლებლო თეორიების განხილვა და მათი პრაქტიკასთან დაკავშირება. ინიციატივის ფარგლებში უკვე ჩატარდა სამი შეხვედრა, რომლებსაც უძღვებოდნენ განათლების ექსპერტები პაატა პაპავა, სიმონ ჯანაშია და რევაზ აფხაზავა. სემინარების ციკლი 2015 წელსაც გაგრძელდება.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

2.1 აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საბჭოები

2014 წლის ზაფხულში უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბჭოებს. საბჭოების მუშაობის შეფასების და გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, ექსპერტები (შემფასებლები) და თავად, საბჭოს წევრები. გამოკითხვისას ყველა საბჭოს თითოეული წევრი 11 კრიტერიუმის[3] მიხედვით შეაფასეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა, ამავე კრიტერიუმების მიხედვით შეაფასეს საბჭოს წევრებმა მთლიანად საბჭოს მუშაობა. სამმხრივი შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ ოთხივე საბჭოსთვის ყველაზე პრობლემურად დასახელდა შემდეგი საკითხები: თანმიმდევრული შეფასება და გადაწყვეტილების მიღებისას ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრება. საბჭოს წევრებს დაეგზავნათ მათივე გამოკითხვით გამოვლენილი ინდივიდუალური შეფასებები.

საბჭოს ახალი წევრების შერჩევისას ცენტრმა განაგრძო შერჩევის თანამონაწილეობითი პრაქტიკა და საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესში ჩართო საგანმანათლებლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ამასთან ერთად, საბჭოების უწყვეტი და თანმიმდევრული პრაქტიკის უზრუნველსაყოფად ცენტრმა განახორციელა როტაცია და ყველა ახალ საბჭოში მინიმუმ ერთი წევრი გადმოვიდა ძველი საბჭოებიდან. ასევე საგულისხმოა, რომ ახალ აკრედიტაციისა და უსდ-ების ავტორიზაციის საბჭოებში წარმოდგენილნი არიან სტუდენტები.

საბჭოების ახალი წევრებისთვის ცენტრმა 2014 წლის 6-7 დეკემბერს ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა წინა წლებში მოქმედი საბჭოების მუშაობის ანალიზზე დაყრდნობით, მოქმედი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება. შეხვედრის ძირითად საკითხს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების განმარტებები და შეფასების ერთიანი მიდგომების შემუშავება წარმოადგენდა.

2.2 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში 72 უმაღლესი, 89 პროფესიული და 2333 (მათ შორის 247 კერძო) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა (იხ. დანართი 2).

2014 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის მინიჭების, ავტორიზაციაზე უარის და ავტორიზაციის გაუქმების შესახებ მიღებულ იქნა 74 გადაწყვეტილება, მათ შორის გადაწყვეტილებების 78% დადებითი იყო. დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია 2013 წლის განმავლობაში ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონაცემები. იმ 21 უსდ-დან, რომლებმაც ავტორიზაცია 2014 წლის განმავლობაში გაიარეს, 6 ახლად დაარსებულია, ხოლო 6-ის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრამდე ითვლებოდნენ ავტორიზებულად[4]. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ორ უსდ-ს ამოეწურა ავტორიზაციის ვადა. მათგან ერთს არ მოუმართავს ცენტრისთვის ხელახალი ავტორიზაციის გასავლელად, ხოლო მეორეს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.

2014 წელს ავტორიზაცია გაიარა 32-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მათ შორის იყვნენ ის კერძო პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც ავტორიზებულად ითვლებოდნენ 2014 წლის პირველ სექტემბრამდე[5], ხოლო საგანმანათლებლო საქმიანობის

---

[3] საბჭოს წევრების შეფასებისთვის გამოყენებული 11 კრიტერიუმი:
1. საბჭოს წევრები იცნობენ აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურას
2. საბჭოს წევრები მომზადებულები არიან საბჭოსთვის და იცნობენ განსახილველ საკითხებს
3. საბჭოს წევრები საკითხის განხილვისას ნათლად და გასაგებად გამოხატავენ პოზიციას
4. საბჭოს წევრები კითხვის დასმისას და აზრის გამოხატვისას იცავენ ეთიკის ნორმებს
5. საბჭოს წევრები ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში აძლევენ აცილებას
6. საბჭო კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად აფასებს ექსპერტთა დასკვნას
7. საბჭო საკითხის შეფასებისას თანმიმდევრულია და ამკვიდრებს ერთიან პრაქტიკას
8. საბჭოს წევრები მიჯნავენ საქმის არსებით გარემოებას არაარსებითისგან
9. საბჭოს წევრები აყალიბებენ ღირებულ რეკომენდაციებს
10. საბჭოს წევრები იჩენენ პრინციპულობას და არ ექცევიან გავლენის ქვეშ
11. საბჭოს წევრები არიან კოლეგიალურები და კეთილგანწყობილნი

[4] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 89[4]

[5] „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 40, პუნქტი 2[2]

გასაგრძელებლად ავტორიზაცია პირველ სექტემბრამდე უნდა გაევლოთ. მათგან ავტორიზაცია გაიარა 25-მა დაწესებულებამ (33-დან), ერთ მათგანს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, ხოლო 7-ს ცენტრისთვის საავტორიზაციო განაცხადით არ მოუმართავს. 2014 წელს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 6 ახლად დაარსებულია.



დიაგრამა 1. ავტორიზაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (2014)

	ავტორიზაციის მიწიჭება	ავტორიზაციაზე უარი	ავტორიზაციის გაუქმება
ზოგადსაგანმანათლებლო	4	6	0
პროფესიული	32	4	1
უმაღლესი	21	5	0

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

2014 წელს აკრედიტაციის საბჭომ მიიღო სულ 302 გადაწყვეტილება, მათ შორის, 267 საგანმანათლებლო პროგრამას (88%) მიენიჭა აკრედიტაცია (დიაგრამა 2). აღსანიშნავია, რომ დოქტორანტურის პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით არც ერთი უარყოფითი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.



* სხვა-დამატებითი პროგრამები, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ქართული ენის პროგრამა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამა.

2014 წელს ყველაზე მეტი სააკრედიტაციო განაცხადი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით შემოვიდა (135 და 85), რაც მნიშვნელოვნად აღემატება დოქტორანტურის პროგრამების აკრედიტაციის განაცხადებს (33) (დიაგრამა 3).



*სხვა-დამატებითი პროგრამები, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ქართული ენის პროგრამა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამა.

2.4 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება

უსდ-ების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების გადახედვა

2014 წლიდან ცენტრი აქტიურად მუშაობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების დახვეწაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვის მთავარი მიზანია, ჩამოყალიბდეს განვითარებასა და შედეგის შეფასებაზე ორიენტირებული სისტემა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობას.

სტანდარტების გადახედვის მიზნით შეიქმნა 12 სამუშაო ჯგუფი, რომელთაგან ერთი მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვაზე, ხოლო 11 ჯგუფი - აკრედიტაციის დარგობრივი სტანდარტის შემუშავებაზე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული 11 მიმართულების შესაბამისად. ასევე მიმდინარეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დახვეწა, რაც ითვალისწინებს შეფასების პროცესის გახანგრძლივებას, უსდ-ების თვითშეფასების პროცესის გაუმჯობესებას, პროცედურის მოქნილობის ხელშეწყობასა და შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას. განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სტანდარტების პილოტირება დაიწყება 2015 წლის მეორე ნახევრიდან.

ფოტოზე (მარცხნიდან): ლ. დეკა, ა. ჰოფბახი, გ. შარვაშიძე, ე. ჯიბლაძე, კ. დოლგოვა-დრეიერი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების განხილვის მიზნით ცენტრის ორგანიზებით 2014 წლის *10 ნოემბერს ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამოწვევები და გაუმჯობესების გზები“*. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ უსდ-ების, ევროსაბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები. კონფერენციაზე ევროსაბჭოს ექსპერტებმა ლიჯია დეკამ და აქიმ ჰოფბახმა წარადგინეს საქართველოში არსებული განათლების ხარიხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების ანგარიში[6].

ცენტრის დირექტორმა, ელენე ჯიბლაძემ საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილების პროექტი წარადგინა, რის შემდეგაც უსდ-ების წარმომადგენლებთან მოხდა საკვანძო საკითხების განხილვა.

[6] http://eqe.ge/uploads/NEWS/prezentaciebi/Quality_assasment/Reviewreport.pdf

ექსპერტთა ბაზის განახლება

დასრულდა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ბაზის განახლების პროცესი, რომელიც 2013 წელს დაიწყო. შერჩევა ჩატარდა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე გადაირჩა განაცხადები, შემდეგ კანდიდატებს ჩაუტარდათ გასაუბრება, ხოლო მესამე ეტაპზე მათ გაიარეს ტრენინგი და აკრედიტაციის/ავტორიზაციის ვიზიტის სიმულაცია. კანდიდატები ტრენინგზე ჩართულობისა და მათ მიერ დაწერილი დასკვნის საფუძველზე შეფასდნენ, რის შედეგადაც შერჩეულ კანდიდატებს მიენიჭათ ექსპერტის სტატუსი. ცენტრმა შეარჩია 17 პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, 8 უსდ-ების ავტორიზაციის და 42 აკრედიტაციის ექსპერტი სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. ამასთან ერთად, „ეიჩარ პროფესიონალთა გილდიის“ წარდგენით ცენტრმა დამატებით 25 აკრედიტაციის ექსპერტი შეარჩია. გამოვლინდა ექსპერტთა სტატუსის შეჩერების წესის არსებობის საჭიროება და ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.

ეთიკის კოდექსის შემუშავება

2014 წელს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამსახურმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი როგორც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრებისთვის, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებისთვის (შემფასებლებისთვის). ეთიკის კოდექსის შექმნის მიზანია საერთო ეთიკის ნორმებზე შეთანხმება, რათა ყველა მხარისთვის წინასწარ იყოს ცნობილი მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები და ღირებულებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მიმართ ნდობის ამაღლებას. ეთიკის კოდექსი 2015 წლიდან ამოქმედდება.

ლიტვის უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების გამოცდილების შესწავლა

მემორანდუმის ხელმოწერა ლიტვის უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების ცენტრთან

ფოტოზე (მარცხნიდან): ნ. სკაბურსკაინე, ე. ჯიბლაძე

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით ცენტრმა ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) პროგრამის ფარგლებში 2014 წლის 19-25 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი ლიტვის უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების ცენტრში (SKVC). ცენტრის თანამშრომლები გაეცნენ ლიტვის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუციური და პროგრამული შეფასების ვიზიტებში. ვიზიტის ფარგლებში, *ქართულ და ლიტვურ მხარეებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი,* რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მისცემს საშუალებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში ჩართოს SKVC-სთან აფილირებული საერთაშორისო შემფასებლები.

2.5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განვითარება

2014 წელს აქტიურ ფაზაში შევიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა. კერძოდ, მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის კონცეფცია. კონცეფცია გულისხმობს სკოლების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ფორმირებას, რომელშიც ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. დაინერგება ე.წ. სკოლის ბარათი, რომელშიც ასახული იქნება საკვანძო ინფორმაცია სკოლის შესახებ, როგორიცაა მატერიალური რესურსები, მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სხვ.

სკოლის ბარათის სისტემის დანერგვის მიზნით იქმნება ელექტრონული პლატფორმა. რამდენადაც, სისტემაში გაერთიანდება უკვე არსებული მონაცემები, სკოლების მიერ ბაზის განახლებისთვის საჭირო ძალისხმევა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. სკოლის ბარათში ასევე აისახება ავტორიზაციისთვის საჭირო მონაცემები. სკოლის ბარათი მოიცავს საქართველოში მოქმედ ყველა

საჯარო და კერძო სკოლას. სკოლის ბარათში ასახული ინფორმაცია ხელს შეუწყობს იმ სკოლების გამოვლენას, რომლებიც განსაკუთრებულად საჭიროებენ დახმარებას და შესაბამისად, სახელმწიფოს მისცემს დროული და მიზანმიმართული რეაგირების შესაძლებლობას. სკოლის ბარათის მიზანია სკოლების ანგარიშვალდებულების გაზრდა საზოგადოების, განსაკუთრებით კი მშობლების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას.



სკოლის ბარათის გვერდის ნიმუში

სკოლის ბარათის ინდიკატორები და მათი გამოთვლის ფორმულები შემუშავებულ იქნა სამუშაო ჯგუფების მიერ. პარალელურ რეჟიმში სამუშაო ჯგუფი მუშაობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალ სტანდარტზე, რომელიც იქნება გაზომავდი. სკოლის ბარათების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც დამტკიცდება 2015 წელს.

3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

3.1 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება

2014 წლის ივნისიდან ცენტრი ახორციელებს „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის“ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით. შედეგად, განახლდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო რაც ხელს შეუწყობს, როგორც კურიკულუმის შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფას ქვეყანაში, ასევე ქართული კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და აღიარებას ქვეყნის გარეთ.

შეიქმნა პროექტის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან განათლების ექსპერტები, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამინისტროსა და ცენტრის წარმომადგენლები. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარების პროცესი მიმდინარეობდა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. შედეგად:

- დღეს არსებული სამი (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების) კვალიფიკაციათა ჩარჩოს[7] აღმწერებისა და ევროპული მეტა-ჩარჩოების აღმწერების საფუძველზე ჩამოყალიბდა 8-დონიანი კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტი;
- მომზადდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განხორციელებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და განხორციელების პროექტი.

პროექტის პირველი ეტაპი 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულდა. 2015 წლიდან კი დაიწყება პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც მომზადებული ცვლილებების დანერგვას გულისხმობს.

3.2 2014 წელს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესული ცვლილებები

2014 წელს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა ნუსხას დაემატა 4 ახალი კვალიფიკაცია, მათ შორის, 1 დარგი/სპეციალობა, 1 ქვედარგი/სპეციალიზაცია, 2 პროფესიული სპეციალიზაცია, ხოლო ცვლილება შეეხო მხოლოდ 1 დარგს/სპეციალობას (იხ. დანართი 3).

[7] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ

4. სტუდენტთა მობილობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობის პროცესს. მობილობის პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერას 2014 წლამდე კერძო კომპანიები ახორციელებდნენ, ხოლო 2014 წლიდან ეს განათლების მართვის საინფორმაციის სისტემის (EMIS) ფუნქცია გახდა. ამ ცვლილების შედეგად ცენტრმა დაახლოებით 80000 ლარი დაზოგა.

მობილობის პროცესი 2014 წელს ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში განხორციელდა. მობილობის უფლება სულ 6203-მა სტუდენტმა მოიპოვა. როგორც დიაგრამა 4-დან ჩანს, საშემოდგომო მობილობის პროცესში დაახლოებით 2-ჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობდა ვიდრე საგაზაფხულო მობილობისას. გარდა ამისა, უსდ-ების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა საშემოდგომო მობილობისას დაახლოებით 3.7-ჯერ, ხოლო საგაზაფხულო მობილობისას 4.3-ჯერ აღემატება მობილობის მსურველთა რაოდენობას. ეს ტენდენცია თანხვედრაშია წინა წლების მობილობის მონაცემებთან.



დიაგრამა 4. უსდ-ებში გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა და სტუდენტების მობილობის უფლების მოპოვება

	2014-2015 საშემოდგომო		2013-2014 საგაზაფხულო	
	ვაკანტური	მოპოვებული	ვაკანტური	მოპოვებული
სულ	11251	4188	8741	2015
BA	9240	3930	7515	1912
MA	1440	72	849	18
Phd	191	26	133	20
ME	380	160	244	65

5. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება

5.1 განათლების აღიარება

ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, ადასტურებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების მიერ განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც.

2013 წლის განმავლობაში ცენტრმა მოამზადა აღიარების შემდეგი დოკუმენტები:

- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების - 5405 (ძირითადად: სომხეთი, აზერბაიჯანი, ერაყი, რუსეთი, უკრაინა, ინდოეთი, თურქეთი, ნიგერია, გერმანია, საბერძნეთი);
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების - 0;
- ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების - 147;
- ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების - 157;
- დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების - 0;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის შესახებ ცნობის მოთხოვნის - 278.

2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებები

2014 წლის 30 ოქტომბერს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამკვიდრდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამისა და გაცვლითი საგან-

მანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ცნებები[8]. ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უსდ-ს სტუდენტს, რომელიც მონაწილეობს გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, საქართველოს პარტნიორ უსდ-ში სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. ხოლო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსი აღარ შეუჩერდება[9].

აღნიშნული ცვლილებით მნიშვნელოვნად გამარტივდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების ქართულ უსდ-ში ჩარიცხვის პროცედურა. დაწესებულება უფლებამოსილი გახდა სტუდენტების უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნებართვის გარეშე დაუშვას გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტები სასწავლო პროცესში. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს საერთაშორისო მობილობას და დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს უსდ-ებში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდაზე.

2014 წლის 9 ოქტომბერს „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“ განხორციელდა ცვლილება[10], რომლის თანახმადაც ცენტრის მიერ აღიარებას დაექვემდებარა პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებული სწავლის შედეგები, ხოლო უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტად განისაზღვრა ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც პირს სურს სწავლის გაგრძელება.

5.2 განათლების ნამდვილობის დადასტურება, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება

ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, კერძოდ, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტებს და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. 2014 წელს ცენტრში საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 2640 განცხადება, აქედან 1189-ის ნამდვილობა დადასტურდა.

ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების გზით. საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზანია საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის სხვა ქვეყანაში გამოყენება.

ოფიციალური საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მოთხოვნით 2014 წელს ცენტრში სულ შემოვიდა 5029 განცხადება, 72 ქვეყანაში საგანმანათლებლო დოკუმენტების გამოყენების მიზნით. აქედან ყველაზე მეტი - განკუთვნილი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარსადგენად (დიაგრამა 5).

2014 წელიდან ცენტრი საგანმანათლებლო დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თანამშრომლობს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან. თანამშრომლობის მიზანია მომხმარებლისთვის გამარტივებული და მოხერხებული სერვისის შეთავაზება. შედეგად, 2015 წლიდან საგანმანათლებლო დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის მომსახურება მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება იუსტიციის სახლებში, ხოლო დადასტურების პროცედურას ისევ ცენტრი განახორციელებს.

[8] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2
[9] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 49[2]
[10] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №98/ნ, მუხლი 5, პუნქტი 62, 2010 წელი, 1 ოქტომბერი



6. პროფესიული განათლების განვითარება

6.1 პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის[11] ფარგლებში ცენტრი 2013 წლის 18 სექტემბრიდან ახორციელებს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას", რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს პროფესიული სტანდარტების გადახედვა, მოდულური პროგრამების და მათი შესაბამისი სასწავლო მასალებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. პროგრამის ფარგლებში:

- შემუშავდა მოდულური პროფესიული პროგრამის მეთოდოლოგია;
- DACUM მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიქმნა 101 პროფესიული სტანდარტი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა კომპანიამ;
- 500-ზე მეტ პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი მოდულური პროგრამების შემუშავების, პროფესიული პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში;

„პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ანგარიშის პრეზენტაცია

- კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით მომზადდა და ექსპერტიზა გაიარა 62-მა მოდულურმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ, რომლებიც სავალდებულო და არჩევითი 1198 პროფესიული მოდულისგან შედგება;
- შემუშავდა ზოგადი უნარების განმავითარებელი მოდულები (მათ შორის, უცხო ენა, მეწარმეობა, კომუნიკაცია, ინტერპერსონალური ურთიერთობები, რაოდენობრივი წიგნიერება), რომლებიც პროფესიული პროგრამების სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს.

2014 წლის 20 დეკემბერს „თბილისი მარიოტში" „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" 2014 წლის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სახელმწიფო და კერძო კოლეჯების წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები და პროფესიულ სტანდარტებსა და პროგრამებზე მომუშავე ფასილიტატორები ესწრებოდნენ. პროგრამა 2015 წელსაც გაგრძელდება.

[11] საქართველოს პროფესიული განათლების განვითრების სტრატეგია 2013-2020 წ.წ. http://mes.gov.ge/content.php?id=213&lang=geo

6.2 ტორინოს პროცესი 2014

ტორინოს პროცესის ანგარიშების განხილვა რეგიონულ კონფერენციაზე.
ფოტოზე: ტიმო კუსელა (ETF-ს კოორდინატორი საქართველოში)

2014 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროპის საგანმანათლებლო ფონდის (ETF) მიერ ორგანიზებულ ტორინოს პროცესში, რომელიც ცენტრმა განახორციელა. ტორინოს პროცესი გულისხმობს დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით პროფესიული განათლების სფეროში არსებული პოლიტიკის შეფასებას და ანგარიშის მომზადებას. საქართველო ტორინოს პროცესში 2010 წლიდან მონაწილეობს, თუმცა, 2014 წელს პირველად მომზადდა ქვეყნის დამოუკიდებელი ანგარიში. 2014 წლის 17 ივლისს ჩატარდა ანგარიში პირველი ვარიანტის ვალიდაციის შეხვედრა, სადაც პროცესში ჩართულმა მხარეებმა განიხილეს ანგარიში და წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები. ტორინოს პროცესის ანგარიშზე მუშაობა ნოემბერში დასრულდა.

სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 3 და 4 დეკემბერს, თბილისში, ტორინოს პროცესის აღმოსავლეთ პარტნიორობის შემაჯამებელი რეგიონული კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა ტორინოს პროცესის ფარგლებში დანერგილი პროფესიული განათლების სისტემების ანალიზი წარმოადგინეს. ასევე, განიხილეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პრობლემები, პრიორიტეტები და რეგიონული თანამშრომლობის პოტენციური მიმართულებები. კონფერენციას 6 პარტნიორი ქვეყნის, ასევე, ევროკომისიის, ევროპის საგანმანათლებლო ფონდისა (ETF) და პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) 60-მდე დელეგატი დაესწრო.

6.3 WORLDSKILLS GEORGIA

WorldSkills Georgia: კონკურსის გახსნა

საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობის მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის მხარდაჭერით ჩაატარა Worldskills Georgia-ს მეორე ეროვნული კონკურსი. 18 დეკემბერს გაიმართა შეჯიბრის გახსნის ცერემონია, ხოლო 19-20 დეკემბერს პროფესიულ კოლეჯებში „სპექტრსა“ და „იკაროსში“ ჩატარდა ეროვნული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ 22 წლამდე ასაკის შემდეგ ახალგაზრდები, ვებ-დიზაინერები, მზარეულები, ფლორისტები, სარესტორნო სერვისისა და საპარიკმახერო საქმის სპეციალისტები. Worldskills Georgia 2014-ის ეროვნული შეჯიბრის თითოეული პროფესიის გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ Worldskills International-ის რიგით 43-ე საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც 2015 წლის აგვისტოში ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში გაიმართება.

7. ინტერნაციონალიზაცია

7.1 ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი (BFUG)

2013 წლიდან ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფში (BFUG) ქართულ მხარეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოადგენს. საქართველოს წარმომადგენლობა აქტიურად არის ჩართული სტრუქტურული რეფორმების სამუშაო ჯგუფში, რომელიც BFUG-ის ერთ-ერთი ქვესტრუქტურაა. 2014 წელს ბოლონიის პროცესის განვითარების ჯგუფის საბჭოს შეხვედრა 12 თებერვალს ასტანაში, ყაზახეთში ჩატარდა, სადაც სამუშაო ჯგუფებმა შესრულებული სამუშაოს ანგარიშები წარადგინეს. სტრუქტურული რეფორმების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 10-11 მარტს გაიმართა ვატიკანში, სადაც განიხილებოდა კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის, უმაღლესი განათლების ინტერნა-

ციონალიზაციის და სოციალური პასუხისმგებლობის სისტემის განვითარების საკითხი. BFUG-ის შეხვედრა 9-10 აპრილს საბერძნეთში, ქალაქ ათენში ჩატარდა, სადაც ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) გადახედვის, ასევე ერთობლივი პროგრამების აკრედიტაციის საკითხები განიხილებოდა. 18-19 სექტემბერს, რომში BFUG-ის რიგგარეშე შეხვედრა შედგა. შეხვედრის ძირითადი მიზანი ბოლონიის პროცესის პირველადი მიზნის გადახედვა და სამომავლო ცვლილებებზე მსჯელობა იყო. ამ შეხვედრაზე განხილული საკითხების დასმა მოხდება 2015 წლის ერევნის მინისტრთა კონფერენციაზე. ასევე აქტიურ ფაზაში გადავიდა 2015 წლის კომუნიკეზე მუშაობა, რომელსაც ერევანში შეკრებილი მინისტრები მოაწერენ ხელს და საფუძვლად დაედება ბოლონიის პროცესის 2015-18 წლების სტრატეგიას. 27-28 ნოემბერის შეხვედრაზე (რომი) კი განიხილებოდა კომუნიკეს შემუშავებული დოკუმენტი. უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურების მიზნით, საქართველომ განაცხადი შეიტანა BFUG-ის სამდივნოს ფუნქციის შესრულებაზე შემდეგი სამი წლის განმავლობაში და მინისტრთა კონფერენციის მასპინძლობაზე. BFUG გადაწყვეტილებას მიიღებს 2015 წლის 26-27 იანვრის შეხვედრაზე, რომელიც რიგაში ჩატარდება.

ცენტრმა 2014 წელს მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, რომლის მიზანი იყო მონაცემების შეგროვება ბოლონიის პროცესის დანერგვის შესახებ. ანგარიშისათვის ცენტრმა შეაგროვა და დაამუშავა სისტემაში არსებული ინფორმაცია ბოლონიის პროცესის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, კერძოდ: განათლების ხარისხი და კვალიფიკაციები, ხარისხის უზრუნველყოფა, კურსდამთავრებულთა დასაქმებულობა, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, ინტერნაციონალიზაცია და მობილობა, სასწავლო გრანტის მობილობა და სოციალური განზომილება. გამოკითხვის შედეგები შევა ბოლონიის პროცესის დანერგვის ანგარიშში და შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ, თუ რა ეტაპზეა საქართველო ბოლონიის პროცესის დანარჩენ წევრ ქვეყნებს შორის ბოლონიის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. ბოლონიის პროცესის განვითარების ჯგუფმა დადებითად შეაფასა 2015 წლისთვის ბოლონიის პროცესის განხორციელების ანგარიშზე მუშაობის პერიოდი, ვინაიდან მოცემული ინდიკატორები იძლევა არამარტო სიტუაციის აღწერის, არამედ წევრი ქვეყნების განათლების სამინისტროების მიერ მათი პასუხისმგებლობების შესრულების ინტერპრეტაციის საშუალებას.

7.2 განათლების მენეჯმენტში მაგისტრატურის პროგრამის განვითარების პროექტი (Mahatma)

2012 წლიდან ცენტრი ჩართულია უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროექტში (Mahatma), რომელიც ხორციელდება „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებში. პროექტის მიზანია საქართველოსა და სომხეთის პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის განათლების მენეჯმენტში სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში დახმარების გაწევა. ცენტრთან ერთად საქართველოდან პროექტის პარტნიორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აღნიშნული პროექტი სამწლიანია და 2015 წლის სექტემბერში დასრულდება.

7.3 სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზაცია სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (MathGeAr)

2014 წლის მარტიდან ცენტრი ჩაერთო MathGeAr-ის პროექტში, რომელიც „ტემპუსის“ მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანი სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზაციაა.

პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს, სომხეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. მისი კოორდინატორია ზაარლანდის უნივერსიტეტი. საქართველოს მხრიდან პროექტში მონაწილეობენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი. პროექტი 2017 წლის მარტში დასრულდება.

7.4 ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და საჭიროების აუცილებლობის აღიარება სომხეთსა და საქართველოში (QA_TNE)

ცენტრი 2014 წლის ივნისიდან ჩაერთო სომხეთსა და საქართველოში ტრანსნაციონალური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და საჭიროების აუცილებლობის აღიარების პროექტში.

პროექტის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება OECD/UNESCO გაიდლაინების შესაბამისად, რაც გაზრდის ხარისხს, ხელს შეუწყობს შესაბამისი რეგულაციების ამოქმედებას და ტრანსნაციონალური განათლების მიწოდებას საქართველოსა და სომხეთში. პროექტში ჩართულები არიან დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და განათლების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგის სახელმძღვანელოს შემუშავება უმაღლესი განათლების დაწესებულებებისა და ხარისხის განვითარების სააგენტოების თანამშრომლების გადამზადებისათვის, OECD/UNESCO გაიდლაინების გათვალისწინებით TNE-ს ხარისხის განვითარების ჩარჩოს შემუშავება და აღნიშნულზე დაყრდნობით სააგენტოების მიერ პროგრამების საპილოტე აკრედიტაციის ჩატარება. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტრანსნაციონალური განათლების მიმართულებით ადგილობრივი უსდ-ების გამოცდილება. 2014 წელს მიღწეული ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე ცენტრი 2015 წლიდან პროექტის ოფიციალური პარტნიორი გახდება.

8. ფინანსური ანგარიში

2014 წელს ცენტრის დაფინანსების წყაროები იყო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტი. ცენტრს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ბიუჯეტი				
დასახელება	**მთლიანი ბიუჯეტი**	**სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები**	**კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები**	**გრანტი (UNDP)**
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	2,819,886.86			
შემოსულობები	**4,381,259.6**	**2,092,577.75**	**2,135,049.31**	**153,632.51**
შემოსავლები	4,381,259.1	2,092,577.75		153,632.51
საბიუჯეტო სახსრები	2,092,577.8	2,092,577.8	0.0	0.0
საკუთარი შემოსავლები	2,135,049.3	0.0	2,135,049.3	0.0
გრანტები (UNDP)	153,632.5	0.0	0.00	153,632.5
ვალდებულებების ზრდა (ზედმეტი/გაურკვეველი თანხები)	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	**4,521,646.12**	**2,092,577.75**	**2,275,435.86**	**153,632.51**
ხარჯები	4,440,995.4	2,092,577.8	2,194,785.1	153,632.5
შრომის ანაზღაურება	964,278.87	733,961.61	230,317.26	0.00
საქონელი და მომსახურება	2,953,577.03	1,276,642.94	1,523,301.6	153,632.5
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	12,738.88	0.0	12,738.88	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	45,295.36	0.0	45,295.4	0.0
სხვა ხარჯები	465,105.23	81,973.2	383,132.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	43,393.70		43,393.7	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება (თანხების უკან დაბრუნება)	37,257.05	0.0	37,257.1	0.0
ნაშთის ცვლილება	-140,386.55			
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	**2,679,500.31**			

ნაწილი II.
ტენდენციები განათლებაში

ცენტრში აკუმულირებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ განათლების სფეროში არსებული გარკვეული ტენდენციები. ამ ნაწილში მოცემულია ტენდენციები რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება 2011-14 წლებში, საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილება 2011-14 წლებში, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების 2011-14 წლების დინამიკა, სტუდენტთა მობილობის 2012-14 წლების დინამიკა და სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილება 2013-14 წლებში.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება

2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 72 უმაღლესი და 89 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 28 უნივერსიტეტი, 32 სასწავლო უნივერსიტეტი და 11 კოლეჯია, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის 60 საზოგადოებრივი და 29 პროფესიული კოლეჯია. უსდ-ებს შორის 50 - თბილისში მდებარეობს, ხოლო 22 - რეგიონებში, პროფესიული დაწესებულებებიდან კი 39 თბილისშია, 40 - რეგიონებში. რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, დღეისათვის ქვეყანაში სულ 2330 სკოლაა, მათ შორის 2085 საჯარო და 247-კერძო. მოცემული ანალიზი ეხება მხოლოდ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს[12].

დიაგრამა 6 ასახავს, თუ როგორ შეიცვალა საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით 2010 წლიდან დღემდე. 2010 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა თითქმის განახევრდა, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 40-ით გაიზარდა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა (27) 2012 წელს. უსდ-ების რაოდენობა კი 2011-14 წლებში 15-ით გაიზარდა.



დიაგრამა 6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ცვლილება წლების მიხედვით

	2010 წლის დასაწყისი	2011 წლის ბოლოს	2012 წლის ბოლოს	2013 წლის ბოლოს	2014 წლის ბოლოს
უმაღლესი	71	57	61	67	72
პროფესიული	74	66	93	91	89
ზოგადსაგანმანათლებლო (კერძო)	522	207	240	247	247

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი და ავტორიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები

დღეისათვის 72 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 69-ს გავლილი აქვს ავტორიზაცია, ხოლო 2 უსდ მუშაობს ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში[13]. 2014 წელს, მსგავსი 19 უსდ-დან, ავტორიზაციის პროცედურის გავლა უწევდა 17 უსდ-ს. ამ გარემოებით აიხსნება 2014 წელს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების რაოდენობის გაზრდა წინა წელთან შედარებით. ამ 17 უსდ-დან, ცენტრს მომართა 16-მა უსდ-მ, რომელთაგან მხოლოდ ერთმა ვერ გაიარა ავტორიზაცია. 2014 წელს ავტორიზებული 15 უსდ-დან (რომელთა სტატუსი 2014 წლამდე გათანაბრებული იყო ავტორიზებული დაწესებულების სტატუსთან) 6 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უსდ[14] იყო. ასევე ავტორიზაცია გაიარა 6-მა ახლადდაარსებულმა უმაღლესმა სასწავლებელმა (იხ. დანართი 2).

[12] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 59, პუნქტი 6-ის შესაბამისად 2015-2016 სასწავლო წლის დაწყებამდე მხოლოდ კერძო სკოლებს ეხება.
[13] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 89, პუნქტი 20
[14] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 89[4]



	2011	2012	2013	2014
ავტორიზაცია გაუქმება	3	0	1	0
ავტორიზაციაზე უარი	5	3	7	5
ავტორიზაცია მიეწიჭა	25	13	12	21

დიაგრამა 7. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები (2014, უსდ)

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე დარჩენილი იყო 33 დაწესებულება, რომლებსაც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ამ ვადის გასვლამდე უნდა გაევლოთ ავტორიზაცია[15]. ამ დაწესებულებებიდან ავტორიზაცია გაიარა 25-მა დაწესებულებამ. ამასთან ერთად ავტორიზაცია გაიარა 6-მა ახალმა დაწესებულებამ. სწორედ ამით აიხსნება 2014 წელს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2-ით შემცირდა.



	2011	2012	2013	2014
ავტორიზაცია გაუქმება	40	0	1	1
ავტორიზაციაზე უარი	11	10	2	4
ავტორიზაცია მიეწიჭა	27	37	5	32

დიაგრამა 8. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები (2014, პროფესიული)

2014 წელს არ ყოფილა მნიშვნელოვანი ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რაოდენობასთან დაკავშირებით. ავტორიზაცია ჯერ არ გაუვლია, მაგრამ ავტორიზებულად ითვლება ის 21 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც ლიცენზია 2010 წელს, ამავე წლის 21 ივლისამდე მიიღეს. მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ავტორიზაციის გასავლელად ცენტრს უნდა მომართონ 2015 წლის 1 ივლისამდე[16].



	2011	2012	2013	2014
ავტორიზაცია გაუქმება	32	134	0	0
ავტორიზაციაზე უარი	36	13	1	6
ავტორიზაცია მიეწიჭა	139	76	11	4

დიაგრამა 9. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები (2014, ზოგადსაგანმანათლებლო)

[15] „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხლი 40, პუნქტი 2[2]
[16] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №84/ნ, 2011 წელი, 19 მაისი

დიაგრამა 10-ზე ნაჩვენებია ავტორიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან ავტორიზაციის მინიჭების პროცენტული მაჩვენებლები წლების და საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის მიხედვით. 2012 წლიდან პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების დინამიკა მსგავსია. ამ დაწესებულებების შემთხვევაში ტენდენცია შედარებით სტაბილური და ზრდადია, ხოლო, კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იცვლება, 2014 წელს კი გადაწყვეტილებების 60% უარყოფითი იყო. ეს იმით აიხსნება, რომ პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდი ნაწილი უკვე არსებული ინსტიტუციები იყო, რაც მათ მდგრადობას განაპირობებს. ხოლო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში, ცენტრში შემოსული განაცხადების მიზანი მათი პირველადი ავტორიზაცია იყო.



დიაგრამა 10. ავტორიზაციაზე დადებითი გადაწყვეტილებების პროცენტული ცვლილება წლების მიხედვით

3. საგანმანათლებლო პროგრამების სტატუსი და აკრედიტაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები

აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, თუმცა, სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა მხოლოდ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად[17]. გამომდინარე აქედან, არსებული პროგრამების 90% აკრედიტებულია. აკრედიტაცია სავალდებულოა მხოლოდ რეგულირებადი, ქართულ ენაში მომზადების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის[18], თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენენ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული დოქტორანტურის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამები[19].

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დაწყებიდან (2011 წ.) 2014 წლის ბოლომდე, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია მიენიჭა 1699 პროგრამას, ხოლო 99 პროგრამის აკრედიტაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. დიაგრამა 11-ზე ნაჩვენებია საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების დინამიკა საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით გასული 4 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის გადაწყვეტილებები უმეტესად დადებითია, ტენდენცია აჩვენებს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დადებითი გადაწყვეტილებების მაჩვენებელი შემცირდა დაახლოებით 10%-ით, რაც სავარაუდოდ ახალი ექსპერტების შერჩევის და ახალი აკრედიტაციის საბჭოს დანიშვნის ერთობლივი შედეგია (დიაგრამა 11).

[17] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 63, პუნქტი 3
[18] „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 17, პუნქტი 3
[19] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 63, პუნქტი 4



დიაგრამა 11. აკრედიტაციაზე დადებითი გადაწყვეტილებების დინამიკა წლების მიხედვით

	2011	2012	2013	2014
BA	97%	99%	78%	88%
MA	95%	98%	94%	100%
PhD	95%	98%	94%	100%
ME	89%	100%	100%	88%
სხვა	98%	99%	100%	97%
საშუალო	96%	98%	88%	89%

*სხვა - უმაღლესი პროფესიული, საბაზო, საშუალო, დამატებითი, ქართულ ენაში მომზადების, ქართული ენის, მასწავლებელთა მომზადების, მასწავლებელთა პროფესიული პროგრამები.

დიაგრამა 12-ზე ნაჩვენებია საფეხურების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების მონაცემები. გასულ წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის რაოდენობა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ 17 უსდ-ს ამოეწურა ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადა, რომელთა პროგრამებიც ასევე აკრედიტებულად ითვლებოდა. შესაბამისად, ამ დაწესებულებებმა (15-მა) მომართეს ცენტრს უკვე არსებული პროგრამების აკრედიტაციისთვის. 2011-2014 წლების განმავლობაში სულ 1450 აკადემიურ პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.



დიაგრამა 12. აკრედიტაციის მინიჭება საგანმანათლებლო პროგრამების საფეხურების მიხედვით

	2011	2012	2013	2014	სულ
სხვა	50	143	32	33	258
ME	16	13	8	7	44
PhD	18	120	60	33	231
MA	66	309	36	75	486
BA	292	217	61	119	689

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს უსდ-ებში სულ 1642 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, მათ შორის 1489 აკრედიტებულია (ან ითვლება აკრედიტებულად[20]), ხოლო 153 არააკრედიტებული. ცხრილ 1-ზე ნაჩვენებია აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა უმაღლესი განათლების საფეხურებისა და უსდ-ების სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

ცხრილი 1. აკრედიტებული და არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა

საფეხური	ბაკალავრიატი		მაგისტრატურა		დოქტორანტურა		ერთსაფეხურიანი სამედიცინო	
პროგრამის სტატუსი / სამართლებრივი ფორმა	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული	აკრედიტებული	არააკრედიტებული
საჯარო	420	55	359	42	171	0	16	0
კერძო	289	22	147	32	57	2	30	0
სულ	709	77	506	74	228	2	46	0

[20] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 88, პუნქტი 7[1]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების 63%-ს ახორციელებენ საჯარო უსდ-ები, ხოლო 27%-ს - კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები. მიმართულებების მიხედვით ყველაზე მეტი პროგრამა ჰუმანიტარული, ინჟინერიის, ინტერდისციპლინური და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო უსდ-ებში განხორციელებული პროგრამების რაოდენობა 1.7-ჯერ აღემატება კერძო დაწესებულებებში განხორციელებულ პროგრამებს, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის მიმართულებით კერძო უსდ-ები საჯაროებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტ პროგრამას ახორციელებენ. დიაგრამა 13-დან ჩანს, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესი განსაკუთრებით დაბალია ისეთი მიმართულებების პროგრამების განხორციელების მიმართ, როგორებიცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, განათლება და ხელოვნება.



საქართველოში სულ 145 უცხოენოვანი პროგრამა ხორციელდება. მათი უმრავლესობა (57%) ინგლისურენოვანია, მას 28%-ით რუსულენოვანი პროგრამები მოჰყვება. დანარჩენი პროგრამები კი ორენოვანია (დიაგრამა 14). მიმართულებების მიხედვით ყველაზე მეტი უცხოენოვანი პროგრამა ჯანდაცვის (33, მათ შორის 19 ინგლისურენოვანი), ინჟინერიის (30, მათ შორის 16 რუსულენოვანი) და ბიზნესის ადმინისტრირების (29, მათ შორის 21 ინგლისურენოვანი) მიმართულებით ხორციელდება (დიაგრამა 15).





4. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აღწერს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ კვალიფიკაციებს და ცხადყოფს მათ ურთიერთკავშირს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე მოიცავს ქვეყანაში არსებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს.

გასული ოთხი წლის განმავლობაში კვალიფიკაციათა ჩარჩოს დარგების/სპეციალობების ნუსხას დაემატა 54 აკადემიური და 23 პროფესიული კვალიფიკაცია. 2011 წელს საკვალიფიკაციო ჩარჩოში ცვლილებები არ განხორციელებულა. 2014 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა დარგების/სპეციალობების დამატებაზე მოთხოვნა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია ისაა, რომ არსებული ჩამონათვალი უკვე მოიცავს მოთხოვნად კვალიფიკაციებს. გარდა ამისა, 2014 წლიდან შეიცვალა კვალიფიკაციების დამატების წესი[21], რომელიც დაინტერესებულ მხარეს ავალდებულებს კვალიფიკაციების დარგების/სპეციალობების ნუსხაში ახალი დარგი/სპეციალობის (ასევე ქვედარგი/სპეციალიზაციის და პროფესიული სპეციალიზაციის) დამატების დასაბუთების ცენტრისთვის წარმოდგენას, რამაც ცვლილებებზე პასუხისმგებლობა გაუზარდა დაინტერესებულ მხარეებს.

ცხრილი 2. ცვლილებები ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში (2012-2014)

ცვლილება / წლები	აკადემიური კვალიფიკაციები		პროფესიული კვალიფიკაციები	
	დამატება	შეცვლა	დამატება	შეცვლა
2012	31	7	17	0
2013	21	4	4	2
2014	2	1	2	0

2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოიცავს 11 მიმართულებას. ცხრილში ნაჩვენებია დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით. იმდენად, რამდენადაც 2014 წელს ჩარჩოს ნუსხას დაემატა უმაღლესის მიმართულებით 1 დარგი და 1 ქვედარგი, ხოლო პროფესიულის - 2 სპეციალიზაცია, ამას არ მოუხდენია გავლენა გასული წლის ტენდენციებზე.

ცხრილი 3. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული მიმართულებები

№	მიმართულება	დარგი/ სპეციალობა	ქვედარგი/ სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
1	აგრარული მეცნიერებანი	6	25	43
2	ბიზნესის ადმინისტრირება	5	57	36
3	განათლება	2	11	3
4	ინჟინერია	17	74	195
5	მეცნიერებები/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	8	71	13
6	სამართალი	5	27	1
7	სოციალური მეცნიერებები	8	38	8
8	ხელოვნება	7	43	63
9	ჯანდაცვა	7	26	13
10	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	6	54	0
11	მიმართულებათაშორისი დარგები/სპეციალობები	18	71	16

[21] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №112, 2014 წლის 7 მარტი

5. სტუდენტთა მობილობა

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობის პროცესს, რომელიც არეგულირებს სტუდენტის გადასვლას ერთიდან სხვა უსდ-ში. მობილობის პროცესი წელიწადში ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში ხორციელდება.

დიაგრამა 16-დან ჩანს, რომ საშემოდგომო მობილობაში უფრო მეტი სტუდენტი იღებს მონაწილეობას ვიდრე საგაზაფხულო მობილობისას. 2014-2015 სასწავლო წელს საშემოდგომო მობილობაში დაახლოებით 2-ჯერ მეტი, 2013-2014 სასწავლო წელს კი 3-ჯერ მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.



დიაგრამა 16. უსდ-ების მიერ გამოცხადებული ვაკანტური ადგილები და სტუდენტების მიერ მობილობის უფლების მოპოვება (2012-2014)

	ვაკანტური 2014-2015 საშემოდგომო	მოპოვებული 2014-2015 საშემოდგომო	ვაკანტური 2013-2014 საგაზაფხულო	მოპოვებული 2013-2014 საგაზაფხულო	ვაკანტური 2013-2014 საშემოდგომო	მოპოვებული 2013-2014 საშემოდგომო	ვაკანტური 2012-2013 საგაზაფხულო	მოპოვებული 2012-2013 საგაზაფხულო
სულ	11251	4188	8741	2015	7321	3675	5147	1293
BA	9240	3930	7515	1912	5842	3464	4081	1190
MA	1440	72	849	18	983	51	780	21
Phd	191	26	133	20	109	17	65	10
ME	380	160	244	65	387	143	221	72

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება მობილობაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის. 2012-2013 სასწავლო წელს მობილობის უფლება ჯამში 4905-მა სტუდენტმა მოიპოვა, 2013-2014 წელს - 5690-მა სტუდენტმა, ხოლო 2014-2015 სასწავლო წელის მხოლოდ პირველი მობილობის მონაცემებით - 4188-მა სტუდენტმა.

6. სტუდენტების კონტინგენტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება 163923 სტუდენტი, მათ შორის, 127411 აქტიური სტუდენტია (78%), ხოლო დანარჩენს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი (22%). სტუდენტების 30% კერძო, ხოლო 70% საჯარო უსდ-ებში სწავლობს. სტუდენტების მხოლოდ 19% სწავლობს რეგიონში მდებარე უსდ-ებში.



დიაგრამა 17. სტუდენტების განაწილება საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით (2014)

როგორც მოსალოდნელი იყო, სტუდენტების უმრავლესობა (78%) ბაკალავრიატის, უმცირესობა კი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობს (დიაგრამა 17).

დიაგრამა 18 ასახავს აქტიური და შეჩერებული სტატუსის[22] მქონე სტუდენტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით. საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამებისგან განსხვავებით, მკვეთრად მაღალია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი.



დიაგრამა 18. სტუდენტების სტატუსის პროცენტული განაწილება საგამანათლებლო საფეხურების მიხედვით (2014)

2013 და 2014 წლის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მონაცემები განათლების ყველა საფეხურზე თითქმის ერთნაირია, გარდა სადოქტორო პროგრამისა, სადაც სტატუსშეჩერებული სტუდენტები 9%-ით შემცირდა (დიაგრამა 19). ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ის რომ 2013 წლიდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების[23] საფუძველზე დაიწყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება. ბრძანების მიხედვით, სსიპ - შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი კონკურსის საფუძველზე გასცემს სასწავლო-კვლევით გრანტს დოქტორანტებისთვის. გრანტის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის კი აუცილებელი მოთხოვნაა დოქტორანტს ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი.



დიაგრამა 19. სტატუსის შეჩერების ტენდენცია საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით

	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	სულ
2014	20%	35%	46%	13%	22%
2013	18%	36%	55%	12%	21%

სტატუსშეჩერებული სტუდენტების კუმულატიური პროცენტული მაჩვენებელი 2014 წელს 2013 წლის მონაცემს 1%-ით აღემატება. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი შესაძლოა გახდეს ფინანსური დავალიანება, ავადმყოფობა, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა და სხვ. უმეტესწილად, სტატუსის შეჩერების მიზეზად ფინანსური დავალიანება სახელდება (2014 წელს 55%), თუმცა აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით 3%-ით შემ-

[22] სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას არაუმეტეს 5 წლის ვადით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ, 2012 წლის 4 თებერვალი, დანართი №1)
[23] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №128/ნ ბრძანება



ცირდა (დიაგრამა 20). ასევე პოზიტიურია სტუდენტის სტატუსის აღდგენის ტენდენცია სტატუსის შეჩერებასთან მიმართებით. 2012 წელს მათი თანაფარდობა 0.48, 2013 წელს- 0.53, ხოლო 2014 წელს 0.59 იყო.

2014 წლის მონაცემებით სტუდენტების კონტინგენტის 4% (6582) უცხო ქვეყნის მოქალაქეა (საერთაშორისო სტუდენტები). მათ შორის ყველაზე მეტი აზერბაიჯანიდან (1950) და ინდოეთიდან (997) არის წარმოდგენილი (დიაგრამა 21).



2015 წლის აქცენტები

2014 წელს გაცხადებული პრიორიტეტები წარმოადგენს ცენტრის გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ამდენად, 2015 წელს შენარჩუნებული იქნება 2014 წელს განსაზღვრული 4 ძირითადი მიმართულება:

- განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საკანონმდებლო ცვლილებები;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესება.

დანართი 1. ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა



დანართი 2. უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (მწვანე ფერით აღნიშნულია ახლადდაარსებული დაწესებულებები)	ავტორიზაციის მინიჭების თარიღი
	უნივერსიტეტები	
1	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11.07.11
2	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
4	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	04.08.11
5	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	04.08.11
6	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	04.08.11
7	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	04.09.12
8	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18.09.12
9	სსიპ- სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	24.02.14
10	ა(ა)იპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	21.07.11
11	ა(ა)იპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	28.07.11
12	ა(ა)იპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	04.08.11
13	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	31.07.12
14	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	26.03.13
15	ა(ა) იპ - "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	10.10.13
16	ა(ა)იპ - ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი	10.10.13
17	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	25.12.14
18	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტი	21.06.11
19	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	11.07.11
20	შპს - ქუთაისის უნივერისტეტი	21.07.11
21	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	28.07.11
22	შპს - დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	28.07.11
23	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	25.08.11
24	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	18.09.12
25	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	30.12.14
26	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	30.12.14
27	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	30.12.14
28	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	29.07.15-მდე
	სასწავლო უნივერსიტეტები	
29	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	28.07.11
30	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	08.09.11
31	სსიპ- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	21.08.12
32	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	01.08.13
33	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	08.12.14
34	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	16.12.10
35	ა(ა)იპ - ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი	04.09.12
36	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	25.12.14

37	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია	25.12.14
38	შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	21.01.11
39	შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი	28.07.11
40	შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	12.08.11
41	შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	12.08.11
42	შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი "ჰიპოკრატე"	25.08.11
43	შპს - სასწავლო უნივერსტიტეტი ევროპული აკადემია	03.11.11
44	შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი "გორგასალი"	24.10.12
45	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	12.07.12
46	შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	12.07.12
47	შპს - "თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"	21.08.12
48	შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	01.08.13
49	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	15.02.13
50	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	10.10.13
51	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი"	17.12.14
52	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	24.12.14
53	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	24.12.14
54	შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი	24.01.14
55	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	19.05.14
56	შპს - წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	19.05.14
57	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	13.06.14
58	შპს-ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი	13.06.14
59	უსფ - ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი-სასწავლო უნივერსიტეტი	26.08.15-მდე
	კოლეჯები	
60	სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი	03.01.14
61	ა(ა)იპ - საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნა"	14.08.12
62	საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	25.12.14
63	ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია	25.12.14
64	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ყვარლის წმინდა აბიბოს ნეკრესელის სახელობის სასულიერო სემინარია	25.12.14
65	შპს - ქართულ-ევროპული აკადემია	01.08.13
66	შპს - თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემია	01.08.13
67	შპს - უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია	01.08.13
68	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი	10.10.13
69	შპს - საქართველოს ბიზნეს აკადემია SBA	12.12.13
70	შპს- ინტერბიზნესის აკადემია	20.11.14
71	შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი	01.04.15-მდე
72	შპს - უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია	12.07.12

ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები		ავტორიზაციის მინიჭების თარიღი
საზოგადოებრივი კოლეჯები		
1	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ახალი ტალღა"	01.12.11
2	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი"	01.12.11
3	სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერია"	13.12.12
4	სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	22.12.12
5	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	10.05.12
6	სსიპ- საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"	13.09.13
7	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ოპიზარი"	29.08.14
8	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "მერმისი"	29.08.14
9	სსიპ - პროფესიული კოლეჯი „სპექტრი"	29.08.14
10	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი	29.08.14
11	ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი	03.11.11
12	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი;	13.12.11
13	ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება"	30.08.14
14	ა(ა)იპ ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი	17.08.14
15	შპს - „პროფიუნიტი"	25.01.11
16	შპს - ,,ორიენტირი"	06.06.11
17	შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი	28.06.11
18	შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯი	28.06.11
19	შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი	11.07.11
20	შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემია	11.07.11
21	შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლა	11.07.11
22	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გეორგია"	25.07.11
23	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია	28.07.11
24	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა"	04.08.11
25	შპს ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯი	04.08.11
26	შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი	08.09.11
27	შპს- მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი კოლეჯი მედიკ-ფორტე	13.10.11
28	შპს-აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯი	03.11.11
29	შპს - თბილისის ტურიზმის აკადემია	13.12.11
30	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კოლხა-11''	18.01.12
31	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პროფესიონალი"	13.12.11
32	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი	01.03.12
33	შპს - სიო	01.03.12
34	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი	13.03.12
35	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი XXI საუკუნე	13.03.12
36	შპს - უმაღლესი სასწავლებელი საგანძური	10.05.12
37	შპს - კოლეჯი გამა	10.05.12
38	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეკოლოგია და დიზაინი	07.06.12
39	შპს - მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი	07.06.12
40	შპს - პროფესიული ინოვაციების კოლეჯი	12.07.12
41	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კავკასიონი"	12.07.12
42	შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი გარანტი	31.07.12

43	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი აღმაშენებელი	18.09.12
44	შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი	18.09.12
45	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი	09.11.12
46	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ	26.07.13
47	შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი	26.07.13
48	შპს - „ბარაკონი"	26.07.13
49	შპს - მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრი „იმედი"	31.10.13
50	შპს - „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +"	30.08.14
51	შპს - „ცხუმ-ეგრისი"	30.08.14
52	შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი	30.08.14
53	შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია	20.06.14
54	შპს - ირაკლი ფაღავას სახელობის აკადემია დასტაქარი	30.08.14
55	შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი	30.08.14
56	შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი	30.08.14
57	შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია	17.08.14
58	შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემია	17.08.14
59	შპს საზოგადოებრივ კოლეჯი ლიდერი	20.06.14
60	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ	20.01.14
	პროფესიული კოლეჯები	
61	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ბლექსი"	29.08.14
62	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ერქვანი"	29.08.14
63	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "თეთნულდი"	29.08.14
64	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ფაზისი"	29.08.14
65	სსიპ - პროფესიული კოლეჯი "ლაკადა"	29.08.14
66	სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსი"	29.08.14
67	ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი;	08.09.11
68	ა(ა)იპ - კავკასიის პროფესიული კოლეჯი	18.09.12
69	ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი განთიადი	29.08.14
70	ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "პრესტიჟი"	29.08.14
71	ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი"	29.08.14
72	ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯი „იკაროსი"	29.08.14
73	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი	30.08.14
74	ა(ა)იპ "მენეჯერთა სასწავლებელი" პროფესიული კოლეჯი	21.01.14
75	შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი "ინტერველდი"	29.12.10
76	შპს - ზედაეწერის აგრობიზნესისა და ტექნოლოგიის კოლეჯი	18.08.11
77	შპს - "ორიენტირი +"	10.11.11
78	შპს - „ლაზარე +"	23.02.12
79	შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი	01.03.12
80	შპს - ხაშურის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლეჯი	12.07.12
81	შპს - ლაზიკა	31.07.12
82	შპს - პროფესიული კოლეჯი ინტელექტი	07.08.12
83	შპს- მესამე სამედიცინო & ტურიზმის აკადემია	04.09.12
84	შპს - არსი	04.10.12
85	შპს - პანაცეა	23.10.12
86	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრი	30.08.14
87	შპს - "ილია" - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება	30.08.14
88	შპს - ბუღალტერთა მომზადების ცენტრი	30.08.14
89	შპს - საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი "ეკვატორი"	30.08.14

დანართი 3. 2014 წლის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილებები

№	მიმართულება	დარგი/ სპეციალობა	ქვედარგი/ სპეციალიზაცია	პროფესიული სპეციალიზაცია
1	აგრარული მეცნიერებანი			მევენახე - მეღვინე
2	ბიზნესის ადმინისტრირება			ფერმერი
4	ინჟინერია		სამშენებლო მექანიკა და სეისმომედეგი მშენებლობა	
11	მიმართულებათაშორისი დარგები/ სპეციალობები	ტურიზმი*; ადიქციის კვლევები (ადიქტოლოგია)		

*ლურჯი ფერით აღნიშნულია შეცვლილი კვალიფიკაცია

საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1
ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220
ელ-ფოსტა: **info@eqe.ge**
www.eqe.ge